27 თებერვალს (11 მარტს) 1869. № 9. მეორე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

„დროების“ კორრესპონდენცია: — რამდენიმე სიტყვა პრინცის მიურატის ქუთაისში მიღებაზე. — პოლიტიკა: — ფრანცია. — საბერძნეთი. — ისპანია. — ამერიკა. — ტელეგრამმები. — საქართველო. — სიტყვა საყოველთაოდ საუწყებელი წიგნთა ქართულთა ბეჭდვისაგამო. — ლექსები. — კერძოობითი განცხადებანი.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

### ქუთაისი.

### რამოდენიმე სიტყვა პრინცის მიურატის ქუთაისში მიღებაზე.

9-ს ამ თებერვალს ქუთაისში მოვიდა პრინცი მიურატი და პრინცესა მისი მეუღლე..... აქაურ საზოგადოებას სანატრელად ჰქონდა ამ ძვირფასი სტუმრების ნახვა. მეორე დღეს (10-ს თებერვალს) მათ განაცხადეს ერთ ჩვენებურ ოჯახში სალამოს დროს გატარების სურვილი; ამისთანა ღირსეული სტუმრების წვევით გახარებულმა მასპინძელმა მოიხმარა ყოველივე ღონე, რაც შეიძლებოდა, მოკლე დროში, ჩვენებურად მათ დრო გაეტარებინა; ამისთვის მოიწოდა უმახლობელესი თავისი კერძობა: ქალი და კაცი; სალამოს ცხრა საათზე აქ ყველანი შეკრებულიყვნენ, ვინც მასპინძლისაგან იყო მოწოდებული და ელოდებოდენ პრინცის და პრინცესას მოსვლას. მათ მალე აუხდათ სურვილი; ჯერ მოვიდა პრინცესა, რომელსაც ყველანი აქ მყოფნი ქალები გაეცნენ და მერმედ, რამოდენიმე ხნის შემდეგ, ყველა აქ მყოფელებმა შამოსავალის კარებისაკენ მიაქციეს ერთბაშათ თვალი; ანიშნეს ერთმანეთს უცხო სტუმრების მოსვლა და წარმოსდგნენ ფეხზე; ამ დროს შემოვიდა ერთი წარმოსადეგი მშვენიერი კაცი; ეს იყო პრინცი მიურატი, რომელსაც შემოყვა სხვათა შორის უგანათლებულესი კნიაზი მინგრელსკი, ერთი საფრანგეთის კონსული და ერთი მათი მეგობარი ლორდი. ამათმა თავდაბლურმა და გულწრფელმა ქცევამ ყველანი აქ მყოფნი აღტაცებაში მოიყვანა და, ცოტა არ იყო, უკვირდათ, რომ პრინცის უბრალო ქცევაში, არა ეითარს ამაო-მედიდურებას ვერ ჰპოვებდენ. ვინ არ შეატყობდა, ვინც ცოტას მაინც დაუკვირდებოდა, რომ მისი ჭკვიანი სახე, წყნარი და ლაზათიანი ყოფაქცევა, დარბაისლური ბაასი ამტკიცებდენ, რომ ეს იყო დიდს საზოგადოებაში აღზრდილი და დიდის შთამომავლობის პატრონი; ეჭვი არ არის, რომ, თუ ცოტა მაინც უკითხავს მკითხველს უკანასკნელი დროების საფრანგეთის ისტორია, მისათვის მიურატის სახელი არ იქნება უცხო, ამისთვის ამ გზობისათ ჩემის მხრით მის ვინაობაზედ ლაპარაკი ნამეტანი იქნება. მე მინდა მკითხველს ვაცნობო, როგორ გაატარეს დრო ამ სალამოს უცხო სტუმრებმა; ან როგორ იქცეოდენ ჩვენს საზოგადოებაში, რადგან ამ გვარი სტუმრები ჩვენი საზოგადოებისათვის პირველი შემთხვევაა თითქმის.

თუმცა საეჭვოდ ქონდათ, რომ პარიჟელის ცხოვრებით დამტკბარი მათი თვალი და სასმენელი დაეკმაყოფილებინათ ჩვენებურის დროს გატარებით, გარნა ამათმა მხიარულმა ქცევამ აქ მყოფნი ბეჯითად დაარწმუნა, რომ ვისაც ბევრი უნახავს და ბევრი ღირსების მქონია, ის უფრო არ დაიწუნებს ჩვენებურ დროს გატარებას და თუ კიდევაც ნახა რაიმე ნაკლულოვანება ჩვენებურ ჩვეულებაში, ის სულგრძელათ მოგვიტევებს და შეხედავს მას ჭეშმარიტად განათლებულის კაცის თვალით. ის დარწმუნებულია, რომ რამდენი სხვა და სხვა ხალხია, იმდენი სხვა და სხვა ჩვეულება აქვთ და სხვა და სხვა დროების გატარების საშუალება; ამ გვარ პირებს ეს უცხო სტუმრები წარმოადგენდა აქ ამ გზობისათ, როგორც ამტკიცებდენ თავის ყოფაქცევით. ესენი ყურადღებით ადევნებდენ თვალს ჩვენებურ ლეკურის თამაშს.

თუ არ მოსწონდათ, სულ გრძელად მაინც მოისმენდენ ჩვენებურ სიმღერებს დაუკვირდებოდენ არის თუ არა რამე მზგავსება ჩვენს და მათ სიმღერებს შორის. რადგან მასპინძელი დარწმუნებული იყო, რომ მათ ჯერ არ ენახათ ჩვენებური ფერხისა, იმან სთხოვა აქ მყოფელებს, შეედგინათ; ამ ფერხისაში ყველანი ჩაებენ, რომელიც იყო სასიამოვნო სანახავი, რადგან დიდი და პატარა ყველანი გახალისდენ და სიმღერით უვლიდენ გარს; ამაში უცხო სტუმრებმაც მიიღეს მონაწილეობა; პრინცმა და პრინცესამ სიამოვნებით შამოუარეს არა ერთ ჯელ. ამ გვარი მათი მოქმედება ცხადათ ამტკიცებდა, რომ ჩვენს ჩვეულებრივს დროს გატარებას ისინი არც დასცინოდენ და არც კიცხავდენ ზოგიერთ პირებსავით. არც ყურებს იკოტვიდენ დუდუკის ხმაზე, თუმცა ყმაწვილობიდგან მათი ყური დამტკბარია მშვენიერის პარიჟის მელოდიით. მკითხველი აქედამ დარწმუნებულია, რომ ამგვარი მათი ქცევა და მოქმედება ჩვენს საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანდა, მაშინ როდესაც ისინი ხედვენ, რომ მათ მამაპაპურ დროს გატარებას ხშირათ დასცინიან; მათ ერთჯერ არ გაუგონიათ „რა სასიამოვნო ამგვარი სიმღერები?“..... მაშინ როდესაც ბევრი ჩვენი ქართული სიმღერები ნამდვილად გამოგვიხატავს წარსული დროების ჩვენი სამშობლოს მდგომარეობას, ჩვენი მამა-პაპების ცხოვრებას, თუ ახლანდელს ჩვენი ხალხის მოთხოვნილებას; ნუ თუ ეს უნდა აიღოს განათლებულმა კაცმა გაკიცხვის საგნათ, რაც კილოზედ უნდა იყოს ეს სიმღერეები დაწყობილი!!..... მე ამით არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენი სიმღერეები ანუ საზოგადოთ დროს გატარება ყველას უნდა მოეწონოს; არა; მე ვამბობ, რომ განათლებულმა კაცმა ყველაფერს ჭეშმარიტების თვალით უნდა შეჰხედოს და უსაფუძვლოთ არც გაკიცხოს და არც დასცინოს იქ, სადაც არაფერი არ არის გასაკიცხავი და დასაცინებელი: ან კი სად გადაველი? მე ისევ უცხო სტუმრებზე მინდა ლაპარაკი. როგორც შემინიშნავს დიდი ხნიდამ, ფრანცუზების ხასიათი ბევრში უნდა ჰგავდეს ჩვენს ხასიათსა; რა გასაკვირველია; ხშირათ ერთი კაცი მეორეს გავს, შეიძლება ერთი ერის ხასიათი მეორესა ჰგავდეს. ახ! კიდევ სად წაველ! მე მინდა კიდევ ვსთქვა, რამე ამ უცხო სტუმრებზე.

არა თუ მარტო პრინცი, არამედ ყველანი ვინც მას მოჰყვა ისე იქცეოდენ, რომ გარეშე კაციც შეატყობდა, რომ ამ საზოგადოებაში ესენი სრულიად არ იყვნენ ნამეტანი. შუალამის პირველ საათზედ მასპინძელმა სთხოვა ვახშმის მირთმევა. იმათ ყველანი გაჰყვნენ; ვახშამზე პრინცის და პრინცესას სადღეგრძელო ინებეს საზოგადოებამ და აგრეთვე მათი უგანათლებულესობის კნეინა ეკატირინა დადიანისა, რომელსაც წრფელის გულით მადლობდენ, რომ ამისთანა უცხო სტუმრები შესძინა იმერეთს. ნავახშმევს პრინცი და პრინცესსა იძულებულ იყვნენ, ცოტა ხნის შემდეგ უნდა წასულიყვნენ, რადგან დილით ადრე აპირებდენ ქალაქიდამ გასვლას. მათმა გამოსალმებამ გული დასწყვიტა აქ მყოფელებს; თვალი დაურჩათ კარებისაკენ; ისე ეწყინათ მათი მოშორება, თითქო რამოდენიმე წელიწადი ერთათ გაეტარებინოსთ.

14-ს თებერვალს 1869 წელსა,
ქ. ქუთაისი.

## პოლიტიკა.

### ფრანცია.

პარიჟის „მონიტერში“ სწერენ მადრიდიდგან; „ბურგოსის გუბერნატორის მოკვლის გამოძიებამ გამოაჩინა შესანიშნავი ამბები. ხუთნი პირველ დამნაშავეთაგანნი გატყდნენ, მაგრამ იმით იმართლებენ თავს, რომ ჩვენ სამღვდელოთგან ვიყავით განძრახებულნიო. საზოგადოება ისეთი აღშფოთებულია, რომ მმართებლობამ თავის უნებურათ უნდა მოაწეროს ხელი ოთხის, ანუ ხუთის დამნაშავეთა სიკვდილით დსჯაზე.

ზოგიერთი კათოლიკების გაზეთები საშინელის სიმდაბლით ამართლებენ ბურგოსის გუბერნატორის მოკვლასა. მაგრამ ყველაზე უფრო ძალიან ამართლებს ამ საქმეს ერთი ვენის სამღვდელოთა გაზეთი „Die gegenwart“. ის ჯავრობს, რომ ინკვიზიციური (სატანჯველი) სასამართლოები მოიშალა და ისიცაო, რომ ახლა ერეტიკებს აღარა სწვენო. გარდა ამისა ამბობს, რომ „კათოლიკები ისპანიაში ერი თავის მეფეებით გადაუდგა კერპთ მსახურებას, ურიებს და ერეტიკებს ამ ჯოჯოხეთის კერძთა; ამათგან განთავისუფლდენ მაშინ, როდესაც ევროპაში იმარობდნენ დამნაშავეთა დაწვასაო. ისპანის ხალხი ამგვარის საშუალების ხმარებით არის დავალებული თავის წარმატებაში და ჩვენ დროში კი ეს საშუალება ეჩვენებათ საშინლათ, რადგან არიან რაღაც უბრალო კაცთ მოყვარენი. რევოლუციის პარტიამ სრულებით გაცარცვა სამშობლოს ღვთისმშობელი და ახლა ისღა დარჩომია, რომ კათოლიკების ეკკლესიას წაართოს თავისი უკანასკნელი ქონება — ბიბლიოტეკები და არხივები. ამ შემთხვევამ მშვიდი ბერიცკი გამოიყვანა მოთმინებიდგან. თუ ეს საწყალი არ უნდათ მიიღონ წმინდანათ, ეპატიოს მაინცა. ის საწყალი არის მსხვერპლი თავისი ფრიად ფიცხელი და კეთილი სარწმუნოებისა. დასასრულ ეს გაზეთი ურჩევს ეკკლესიას, რომ ყველას გასცეს პასუხი ღონითა და ამბობს: „მნახოთ, იქნება მსოფლიო კრებამ მიაპყრას გულის ხმა ამ საგანს და სთქვას რამ ამაზედ დაბოლოებით და ცხადათო“.

### საბერძნეთი.

„Morning Post“-ი აი რას ამბობს საბერძნეთის ახლანდელს ამბებზე:

„ჩვენ შეგვიძლიან სიხარულით ვაცნობოთ, რომ საბერძნეთის საქმე ახლა ნამდვილათ გათავდა. მაგრამ, რადგანაც ბერძნები არიან განებივრებულები ევროპიის სახელმწიფოთაგან, ამიტომ ჯერ გამოიჩინეს ყველა გვარი უმეცრება და უმორჩილობა და მერე ძლივს დათანხმდნენ. იმათ არა სჯეროდათ, რომ ოსმალეთი შეიძლებდა დაჰსჯას. არ ესმოდათ ის რჩევანი, რომელსაც აძლევდა ევროპა, მერე იმდროს, როცა ისინი შეიკრიბნენ კონფერენციაზე. თავიანთ მეგობრებსაც არ უჯერებდნენ; რუსეთის წარდგენაც არ მიიღეს. დიდ ხანს ეცადა ახალგაზდა კაროლი, რომ ერთი დამშვიდებულიყო, რომ ძალიან გაუჭირდა და ხედავდა, რომ ცუდი საქმე მოსდიოდა საბერძნეთსა, მაშინ დაიბანა ხელი. თავის ანებებდა ტახტსა და უბძანა, რომ მომზადებულიყვნენ პარიჟში წასასვლელათ. ამ გვარმა გამბედაობამ ჯეროვანათ იმოქმედა. საბერძნეთის დიდრონს კაცებს შეეშინდათ ამისი; ისინი მიეცემოდნენ დიდს პასუხის გებაში, რადგანაც ჯარი და ფლოტი გარს ეხვიათ და რომ არც კაროლი ეყოლებოდათ, არც ფული ექნებოდათ და არც მეგობრები, მაშინ აუტანელი გაჭირება დაადგებოდათ იმათ. ამგვარი არეულობით როგორ უნდა გასულიყვნენ საომრათ ოსმალეთის ღონიერ და შემძლე ჯართან. თუმცა ძალიან იყვნენ ბერძნები, მაგრამ იმისი შეეშინდათ, რომ ოსმალები შემოვლენ ჩვენ სატახტო ქალაქშიო; მერე ისინიც დაამშვიდებდნენ ბერძნებსა და საქმესაც სულ სხვანაირათ წაიყვანდნენ: ასეთი იყო მოლოდინი საბერძნეთისათვის.

### ისპანია.

მადრიდი, 11 თებერვალს. დღეს დიდის ამბით გაიხსნა კორტესების (დეპუტატების) სხდომა. მაყურებელნი ბევრნი იყვნენ. მადრიდის გარნიზონის ჯარი და საერო გზირნი იყვნენ ზალაში კედლებთან გამწკრივებულნი. ბალკონებზე მდიდარი ხალხი იყო გამოკიდებული. როცა დროებითი მმართებლობის წევრნი შევიდნენ სხდომის ზალაში დეპუტატებმა გაახშირეს ხანგრძლივი ტაშისკვრა, რომელიცა ისევ ატყდა, როდესაც მინისტრმა პრეზიდენტმა, მარშალმა სერრანომ თავისი სიტყვის თქმა გაათავა; იმავ დროს ერთხმით იყვირეს: „ღმერთმან აღლეგრძელოს ერი! „ღმერთმან აღლეგრძელოს ერის უფლება! ღმერთმან აღლეგრძელოს დროებითი მმართებლობა!“ აი მარშალი სერრანოს სიტყვა;

„ევროპის ხალხებმა მიაღწიეს რა განათლების ცნობილ ხარისხამდე, ჩვეულებრივ სწყვეტენ წინა საუკუნოებისგან დანატოვარს ბორკილსა, რომელსაც აქამდის ჰყავდა შეპყრობილი კაცის აზრი. ისპანიამ ძალიან დაიგვიანა; მაგრამ ბოლოს იმისთვისაც დადგა დღე, როდესაც იმან გასტეხა თავისი შემაწუხებელი ბორკილი. ის მტკიცეთ ასრულებს რევოლუციის პროგრამმას და ამისგამო დაამკვიდრა

სარწმუნოების თავისუფალი აღსარება, ყრილობის და ამხანაგობის თავისუფლათ შედგენა. კორტესებმა უნდა დააკანონიერონ ეს მრავალი სახე თავისუფლებისა გარეშეუსაზღვრელათ. თუ ზოგიერთჯერ მთავრობა წინაალმდეგ ზემოხსენებულის პროგრამმისა მოიქცა,-ეს ერის კეთილმყოფობის გულისთვის იყო; ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ქვეყანაში ძველის აზრის მიმყოლნი ბევრნი და ძლიერნი არიან. ისინი ჩვენი უენები უნდა გაგვეხადნა. მთავრობა უნდა შებრძოლებოდა დაუცხრომელს ძველს პარტიებსა. იმას მეტი ზგა არა ჰქონდა, ძალა უნდა მოეხმარა პარტიების მოსაგებლათ და როცა გაიმარჯვა, იმას არ დაუსჯია დამნაშავენი ისე სასტიკათ, როგორც წინათ სჯიდნენ. ბურგოსში მომხდარი ბოროტება ცხადათ გვიმტკიცებს, თუ რას ჩაიდენენ თავისუფლების მტერნი, ვინიცობაა ისევ იმათ ხელში რომ ჩავარდეს უფლება.

უწინდელის მმართველობის უწესოებამ და ძვირათ დამჯდარმა გარეშე ომმა გაალარიბა ჩვენი ქვეყანა. ამ ასპარეზზე დიდი ცვლილება უნდა მოხდეს და ამისთვის საჭიროა ძლიერი ხელი. ამ საქმის კარგათ გათავება თქვენს თანხმობაზე, თქვენს მამულის მოყვარეობაზე და თქვენ მხნეობაზეა დამოკიდებული. სახელმწიფო გარდასახადი განსაკუთრებით იხარჯება სახელმწიფო ვალის სარგებელში, ხმელეთისა და ზღვის მხედრობის რჩენაში. მაგრამ ისპანიის ერი არაოდეს არ იტყვის უარს იმაზე, რაც ვალათ აუღია. თუმცა დიდის სიფრთხილით უნდა მოიქცეს კაცი ამ შემთხვევაში, რომ სახელმწიფოს პირი არ წაუხდინოს. მეორეს მხრით ჩვენ არ შეგვიძლიან უიარაღოთ დარჩენა, როდესაც თვალით ვხედავთ შინაგანს და გარეგანს გაჭირებასა.

„კუბის კუნძულზე განდგომილება უწინდელი მთავრობის ბრალია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჯარის შემწეობით და ჩვენი მამულის მოყვარე ვოლონტერების თავგამეტებით დავაცხროთ კუნძული და შემდეგ მშვიდობიანობა მტკიცეთ დამყარდება თავისუფალის დაწყობილებითა. ბოლოს უნდა გაუქმდეს მონაობაცა, მაგრამ ისე ფრთხილათ, რომ ამით არავის ვნება არ მიეცეს.“

ძველი ხნიდგან დამკვიდრებული სამეფო სახლის ტახტიდგან გადაგდებას ცუდი გავლენა არა ჰქონია ჩვენს მეგობრობაზე უცხო სახელმწიფოებთან; ეგ კი არა დიდი სახელმწიფოების თანაგრძნობა ჩვენდამო კიდევ უფრო გაძლიერდა ამ ბოლოს დროს: ის მთავრობანი, რომელთაც აქამდის უჭირდათ ჩვენი ცნობა, ახლა დაუყოვნებლათ კარგის გულით სალამს გვაძლევენ.

„აგრეთვე არ შეიძლება იმაზედაც ყურადღება არ მივაქციოთ, რომ ასეთი ძირიანი ცვლილება ყოვლის შფოთიანობის და უბედურების მოუხდენელათ დაფუძნდა. ერისგან მონდობილი წმინდა კეთილი წესიერება და თავისუფლება ხელ-შეუხებლათ დაიცვა მმართებლობამ; ახლა პატივისცემით აბარებს იმას ერის წარმომადგენელებს.

---

**ამერიკა.** ვაშინგტონიდგან სწერენ, „მოსკოვის ვედომოსტებში“, რომ გრანტის პრეზიდენტობით ბედნიერი ჟამი იწყება შეერთებულ შტატების კეთილმდგომარეობისთვისაო. რადგან შინაგანმა ომიანობამ ააოხრა სამხრეთის შტატები, მოსპო გარეშე ქვეყნებთან ვაჭრობა და სახელმწიფოს დაადვა დიდი ვალი, რომლის სარგებლის ძლევით ძალიან დიდი ხარჯი დაედვა ხალხსა, ამისთვის ახალი კონგრესის და ახალი პრეზიდენტის მოვალეობა იმასში უნდა მდგომარეობდეს, რომ მოაშოროს მხარეს ეს გაჭირება. იმათ უნდა მოიხმარონ ისეთი ღონის-ძიება, რომ ალებ-მიცემობით განაახლონ სამხრეთის შტატები, შეუმსუბუქონ სახელმწიფო ხარჯი და გაადიდონ ვაჭრობა გარეშე სახელმწიფოებთან; მით უფრო რომ ამ უკანასკნელს ჟამს ანგლიელიბი უფრო გადაემეტნენ ამერიკელებს ვაჭრობაში. ამ განზრახვის ასასრულებლათ კონგრესმა გადასწყვიტა კიდეც, რომ სავაჭრო და სხვა პირობანი, რომელთაცა ევროპის სახელმწიფონი შეჰკვრიან ამერიკელებს ამერიკის ნება-დაუთრთველათ, არ იყოს ამერიკისთვის სავალდებულოსო. აგრეთვე ვაჭრობის გასავრცელებლათ უნდა შეეწიოს დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლებას — იმ აზრით, რომ თავისუფლების მოპოებით ხალხებს მიეცემათ მხნეობა, რომელიც მიუცილებლათ საჭიროა ალებმიცემობისა და ხელოსნობისათვის, რომ ამ გვარათ ქვეყანა გამდიდრდეს და კაცთა ნათესაობას დაუმკვიდრდეს დღენიადაგი წარმატება. აი ამისთვის ამერიკა მიუდგა კანდიელებს და ისურვა იმათი განთავისუფლება ისე, როგორც სხვა ქრისტიანებისაცა ოსმალეთის მონებიდგან.

---

# ტელეგრამმები

(პეტერბურღში მიღებული)

მ ა დ რ ი დ ი 1-ს თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს. კორტესების დამაწესებელი კრების თავსმჯდომარეთ ამოირჩიეს უფ. რივერო; ამასა ჰქონდა 168 კენჭი და უფ. ორენზეს 50. ამის თანაშემწეებათ არიან დანიშნულები უფ. ვეგა-ამიხო, მარტოსი, კანვერო და ვალერო.

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა, ი ა ნ ვ რ ი ს 31-სა. ფუად-ფაშა გუშინ გარდაიცვალა.

(ტფილისში მიღებული)

**პეტერბურგი**, 22 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს. „მთავრობის უწყებაში“ ძალიან საინტერესო დოკუმენტებია დაბეჭდილი საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა რომ განხეთქილება მოხდა, იმის შესახებ. დოკუმენტებშია გამოცხადებული, რომ რუსეთი არ დაიჭერს ოსმალეთის ულტიმატუმის (მიუცილებელი საპასუხოს წერილის) მხარეს. ხელმწიფე იმპერატორი დიდათ კმაყოფილია, რომ ის თანახმა არის იმპერატორ ნაპოლეონთან მშვიდობიანობის მოხდენაზე. რუსეთი პირველი სახელმწიფოთაგანი იყო, რომელმაც მოითხოვა კონფერენციის შეკრება განხეთქილების დასამშვიდებლათ.

1868 წლის 5 დეკემბრიდგან გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ ფრანცია, ანგლია, ავსტრია, პრუსსია და იტალია თანახმანი არიან, რომ მოისპოს ომის ხმები ევროპაში.

---

# საქართველო.

III

თუ რომ მკითხველი მოიგონებს „საქართველოს“ მიმოხილვა ჩვენ ვიწყეთ გეოლოგიით და ენით. ჩვენ ვთქვით, რომ გეოლოგია და ენა შეადგენენ უპირველესს და უმთავრესს წყაროს ძველის ცხოვრებისას. გეოლოგიით და ენის მოწმობით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ინდო-ევროპიელები, სემიტელები და თურანელები გაჩენილან საშუალო-აზიაში, იქ, სადაც დედა-მიწა სხვა ადგილებზე მომატებულათ აბურთებულია. ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ აქედამ ისინი სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა გზით გამგზავრებულან ევროპისკენ, ინდოეთისკენ, მცირე-აზიისკენ, და სადაც იმათ მოგზაურობაში უბინადრნიათ, იქ თავიანთი კვალი დაუტევებიათ. მეორე სტატიაში ჩვენ გვქონდა საუბარი განსაკუთრებით მცირე-აზიაზე, სადაც შემოგროვილან ორის მოდგმის შთამომავალნი: ჩვენ ვაჩვენეთ, ვინ იყვნენ იმათში ინდო-ევროპიელნი და ვინ-არამიელნი. ამ ტომთ გროვაში ჩვენ გავარჩიეთ სომხის მოდგმაც და ქართველის მოდგმაც ნისლით გარემოცული. გარდა ამისა ევროპიული ვანათლების საფუძველი მცირე-აზიაშივე აღმოვაჩინეთ..... ახლა ჩვენ მხარეს, კავკაზიას. უნდა მივყოთ ხელი: უნდა გამოვხატოთ, გეოლოგიური გამოკვლევა რას გვიამბობს იმის აგებულებაზე, იმის ისტორიაზე, საიდამ წარმომდგარა თვით სახელი კავკაზია, სულ ძველათ რა ტომს ჰქონია დროებითი ბინადრობა კავკაზიაში ანუ იმის არე-მარეში, რა კვალი დარჩენილა იმისი აქამომდე ჩვენ მხარეში და თვით ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში.

ზემოთ ვთქვით, რომ გეოლოგია ახალი მეცნიერებაა; მაგრამ ისე ახალი არა, რომ გუშინდელი ან დღევანდელი იყოს, თუმცა იმისი მჭიდროთ დამფუძნებელი ანგლიელი ლაიელი ახლაც ცოცხალია. ჩვენ დროს ევროპა, აზია, ამერიკა, მეტადრე ევროპა თითქმის ზედ-მიწევნით არის გამოძიებული. კავკაზიის მხარის გეოლოგია ახლა მყარდება. კავკაზია ამ მხრით გაკვრით მოუხსენებია წარჩინებულს გუმბოლტს. გაკვრითვე შეჰხებიან იმას პარროტი, კუპფერი, ბერი და დუბუა-დე-მონპერე. ამათში ყველაზე მეტათ და საფუძვლიანათ გამოუკვლევია კავკიზიის გეოლოგიური აგებულება, როგორათაც საზოგადოთ ჩვენი მხარე დუბუას, რომელსაც კავკაზია მიმოუვლია 1830 წელს და უმეტესი ნაწილი თავისის Voyage autour du Caucase (ექვსი წიგნი ძვირფასის ატლასით) საქართველოს აღწერისთვის შეუწირავს, და რომელსაც ხშირათ შევხვდებით ჩვენს თხზულებაში. კავკაზიის გეოლოგიას აფუძნებს აკადემიკი აბიხი. აბიხი თითქმის ოცი წელიწადია რაც ამ საქმეს შეუდგა და წარმატებაც მისცა გეოლოგიას. იმისი გეოლოგიუერი სტატიები გაბნეულია აქა-იქ გერმანიისა და პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის ჟურნალებში, მაგრამ საუბედოთ ის სწერს ნემეცურათ მძიმესა და ძნელ-გასაგონის ენით. 1862 წელში რუსის პროფესორმა შჩუროვსკიმ ჩვენ დიდათ დაგვავალა: იმან შემოჰკრიბა რაც რომ მეცნიერებას და მეტადრე აბიხს უთქვამთ კავკაზიაზე და Русскій Вѣстникъ-ში დაბეჭდა. 1866 წ. მეშვიდე წიგნში Записокъ Кавказ. Отд. Русс. Геогр. Общ. ამ საგანს გამოიკვლეს აგრეთვე სალასკის სტატია Очеркъ орографіи и геологіи Кавказа.

კავკაზიათ უწოდებენ იმ ვრცელს მთის ზურგს, რომელიც იწყობა ტამანის ნახევარ-კუნძულით ანუ შავის ზღვით და მიემართება რა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, სწყდება აფშერონის ნახევარ-კუნწულით კასპიის ზღვაზე. კავკაზია იყოფა ორათ: პირველია ზემო—კავკაზია, რომელიც შეადგენს უმთავრესს მთის ზურგს და რომლის სიგძე 1000 ვერსამდეა და სიგანე 200 ვერსამდეა; მეორეა—ქვემო ანუ მცირე—კავკაზია, რომელიც პირველთან შეკავშირებულია მესხეთის მთით და საქართველო-იმერეთის მთით. ზემო—კავკაზია მისდევს ერთს გაყოლებას, თუმცა ეს გაყოლება გაბრუნდებული ლინიაა. ამ ლინიაზე უმაღლეს ქედებათ ირიცხებიან ელბრუსი (18,523 ფუტზე), უსახელო-მთა (16,941 ფ.) და ყაზიბეგი ანუ მყინვარი (16,523 ფ.) ყაზიბეგი ელბრუსზე დაბალია 1969 ფუტით [1]). მცირე—კავკაზია წარმოადგენს ორ-გვარს სისტემას: ერთია პერანგი, რომელიც მისდევს სამხრეთ—დასავლეთს გაყოლებას, მეორეა ლიხი, რომელიც აღმოსავლეთით დასავლეთს მიემართება. მცირე-კავკაზიის სისტემას ეკუთვნის არარატის მთა, რომელიც მდებარებს ერევნის ღუბერნიაში და სიმაღლით მხოლოთ ელბრუსზე და უსახელო-მთაზე დაბალია [2]). მცირე-კავკაზიასვე ერთვის თავრის მთა, რომელიც მცირე-აზიის მიმოხილვაში მოვიხსენეთ. თავრს უკავშირდება გიმალაის მთა ინდოეთში. საზოგადოთ მომატებული ნაწილი კავკაზიის ზურგისა მთელს თავის გაყოლებაზე ყოველთვის დაგვირგვინებულია თოვლის ფარდით: აქ სამუდამო თოვლის წრე ძევს 11000 ფუტზე. ეს წრე ეკვატორის წრეზე 5000 ფუტით დაბლაა. ალპის მთებში ისა ძევს 8200 ფუტზე, პირენეის მთაში 8400 ფუტზე. მიზეზი ამისი ის

[1]) Русскій Вѣстникъ 1862, N 3, стр. 86.

[2]) Тамъ же N 2, стр. 449.

არის, რომ თუმცა საზოგადოთ დასავლეთის მხარე უფრო თბილია, მაგრამ იქ ზაფხული ატლანტიკის მახლობლათ ისე ცხელი არ არის, როგორათაც კავკაზიაში. კავკაზიის ზურგი, მრავალს ადგილს, ყველა მხრით დაგლეჯილია ხეობებით და გზას აძლევს მდინარეებს, რომელნიც მაღალის მთების სამუდამო თოვლით იკვებებიან და რამდენათაც სათავეებს ჰშორდებიან, იმდენათ ხეობეებს აგანიერებენ და სულ ბოლოს ამინდვრებენ.

ვისაც კი ოდესმე კავკაზიის ზურგზე უმგზავრნია, ის არას დროს არ დაივიწყებს იმ გასაოცარს სახილველს, რომელსაც იმას თვალ წინ წარმოუდგენს ქვე-მდებარე ხმელეთი. ამ სახილველს მიემსგავსება, ისიც სუსტათ, ღელვების დროს ზღვა, როდესაც იმას მრისხანე უხილავი ძალა ქვესკნელით აზვირთებს, როდესაც მთელი ზღვა მთებათ გადაქცეულია, ერთი ზვირთი მეორეს ეჯახება, ერთი მეორეზე მაღლა ადის. ამ გვარია კავკაზიის ზურგი შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე: ის მთლათ აზვირთებულია სხვა და სხვა გვარის მთით; უკეთ ვთქვათ, ის არის უსაზღვროთ აშფოთებული ოკეანი, რომელიც ხან ღრუბლებამდე მიილტვის, ხან უფსკრულამდე ჩაეჯახება. ცხადათ გრძნობთ, რომ ოდესმე აქ საზარელი ბრძოლა ჰქონიათ ხმელეთის კანს და ქვესკნელის ძალას, რომელსაც ის შემდეგ დაუძლევია, აუხეთქია, აუბურთებია და დაუსერავს, ერთი—ერთმანეთზე არევდარევით მიუყრია. თუმცა კავკაზიის ქვეყნების მთები პირველის შეხედულობით ნამდვილის ხაოსს წარმოადგენენ, მაგრამ როდესაც აბიხმა გეოლოგიის შემწეობით ისინი გაჩხრიკა და გამოიკვლია, მაშინ იმან ამ ხაოსში ჰპოვა ოთხი უმთავრესი სისტემა, რომელიც შეადგენს მთელის კავკაზიის საფუძველს, ესე იგი, ოთხივე სისტემა გვიჩვენებს ოთხ-გვარს გაყოლებას, რომელსაც მთები მისდევენ. აბიხის გამოკვლევით აქაური მთები მიემართებიან: ზოგი—დასავლეთით აღმოსავლეთისკენ, ზოგი—სამხრეთ—აღმოსავლეთით ჩრდილო—დასავლეთისკენ, ზოგი სამხრეთ—დასავლეთით ჩრდილო—აღმოსავლეთისკენ და ზოგი ჩრდილოეთით სამხრეთისკენ. უმთავრესი მთები კავკაზიისა ისინი არიან, რომელნიც მისდევენ დასავლეთით აღმოსავლეთის მხარეს. როდესაც ეს სხვა და სხვა მხარის მიმართულება, რომელიც ქვესკნელის ძალის მოძრაობით მომხდარა, ერთი—მეორეს შეხვედრიან, მაშინ გაჩენილა ხეობები, სადაც მდინარეებს გზა მისცემია. ჩრდილო—აღმოსავლეთის აბურთება კავკაზიის ზურგისა ამითია შესანიშნავი, რომ ისა და საშუალო-აზიის ზურგები ერთ დროს აღმართულან [1]). ახლა ეჭვი აღარ არის, რომ კავკაზიის მხარეები ქვესკნელის ცეცხლის მოქმედებით არიან ამართულნი. მაგრამ როდის მომხდარა ესა? რომელ ეპოქეებს უნდა მივაწეროთ დედა-მიწის ისტორიაში ეს მრავალ—ჯერ განმეორებული ცვლილება? ეს საგანი საფუძვლიანათ გამოუკვლევია მხოლოთ აბიხს.—ახლანდელის აზრით მთელი დედა-მიწის კანი შემდგარია ცამეტის ფორმაციით. ფორმაცია არის საზოგადოთ ის გროვა შენივთებათა, რომელნიც არიან წყლისა თუ ცეცხლის ნაწარმოებნი, რომელნიც ერთი მეორესთან სრულებით ისე განსხვავდებიან, რომ თვითეული იმათგანი ცალ—ცალკე ეპოქას შეადგენს. თვითეულს ფორმაციას თავისი სახელ-წოდება აქვს. არც ერთს მხარეში არ იპოება ერთათ ყველა ცამეტი ფორმაცია; თვითეული მხარე შემდგარია რამდენისამე ფორმაციით. კავკაზია შენივთებულია, აბიხის გამოძიებით, რვა ფორმაციით [2]). აქ მეშვიდე ფორმაცია, ანუ იურის ფორმაცია უძველესს ფორმაციათ მიითვლება. ის ამოხეთქილია ყველაზე ადრე. ეს

[1]) Рус. Вѣст. 1862, N 3, стр. 91 -95.

[2]) Тамъ же, N 4, стр. 693,694,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევა მიეწერება იმ ცვლილებას, რომელსაც დაუარსებია კავკასიის ზურგი და რამდენსამე ათას ფუთზე აუბურთებია. დუბუას აზრით ის არის ნაწარმოები მსხვილ—მარცლოვანის გრანიტისა, რომელიც თვითონ ცეცხლის ნაწარმოებია და შეადგენს უძველესს ფორმაციას; გრანიტია საძირკველი კავკასიის ზურგისა ელბრუსსა და ყაზიბეგს შორის, აგრეთვე მესხეთისა და საქართველო—იმერეთის მთისა [1]). შემდეგ კავკასიის აბურთებისა იურის ფორმაციით იმ ზღვებმა, რომელნიც აქეთ და იქით სცემდნენ იმის ძირს, დროს განმავლობაში დაბადეს ცარცის (мѣловая) ფორმაცია, რომელიც აქ დიდათ გავრცელებულია და კავკასიის იქით და აქეთ განსხვავებულია: საქართველოსა და სომხეთის მთებში ეს ფორმაცია არის ნაწარმოები წყლისა და ცეცხლის; ჩრდილო—კავკასიაში ამ ფორმაციის განმავლობაში მშვიდობიანობა სუფევდა; არა ცვლილება ცეცხლის მოძრაობით არა მომხდარა რა. აქ ეს ფორმაცია გავრცელებულია ელბრუსით კასპიის ზღვამდე და შეიცავს მრავალს გაქვავებულს ძველს მცენარეს და ცხოველს. ამ ეპოქაში კავკასიის ზურგმა უფრო აიწია; ის იდგა ვრცელ კედლათ ჩრდილოსა და სამხრეთს ზღვებს შუა [2]). უკანასკნელი ფორმაცია იყოფა სამ ნაწილათ: უძველესი იმათში არის ეოცენისა, საშუალო—მიოცენისა, უკანასკნელი ანუ სულ ახალი პლიოცენისა. ეოცენის ეპოქის გაქვავებული ლოკოკინები ძალიან მცირეთ მიემსგავსებიან ახლანდელებს, მიოცენისა—ზოგიერთი ახლაც ცხოვრობს, პლიოცენისა—მომატებული ნაწილი ჩვენს დროს იპოვება [3]). ჩვენ მხარეში ეს ფორმაცია შესანიშნავი ამითია, რომ იმას გაუჩენია ქვის მარილი, რომელიც მომატებულათ გავრცელებულია სომხეთში, ესე იგი ნახიჩევნის მახლობლათ, კულპში, ქალისმანში და სხვაგან [4]). ამ ფორმაციის განმავლობაში ზღვას დიდი სივრცე ჰქონია: მოყოლებული შავის ზღვის დასავლეთის პირით, მარმარილოსა და ეგეის ზღვებით, იმას ეჭირა მთელი ეს სივრცე; ის სცემდა მთელს კავკასიის ქედს, უმაღლესის ვაკე—მაღლობების გარდა და აერთებდა კასპიის ზღვას არალის ზღვასთან. ამ ფორმაციას შეუდგა დილუვიის ეპოქა (diluvium წარღვნა), რომელიც კავკასიის მხარეებისთვის ძალიან აშფოთებული ეპოქა ყოფილა: იმას დაუტევებია დიად ვრცელი ფორმაცია, ესე იგი დიდ—ძალი კონგლომერატების წყობა. კონგლომერატი ჰნიშნავს (con ერთათ, glomero შენივთება) წყლის მოქმედებით შემრგვალებულს სხვა და სხვა მოდგმის ქვებს, რომელნიც ერთი მეორეს შეჰდულებიან. როდესაც ეს მასსები გარეთ ამოხეთქილა, მაშინ იმათ გაუმსიათ ვრცელი მთის ღელეები და დიდ—მინდვრებათ გადაუქცევიათ. იმ დროს გაჩენილა ახლანდელი დიდ—მშვენიერი ვაკეები შურაგელისა, ჯავახეთისა, ლორისა, მაღალი მთა—მინდვრები ყარაბაღისა, ალმანგანისა და ალაგეზისა. იმ დროს მისცემია კავკასიას ის სიმაღლე და ის თვისება, რომელსაც ახლა ის წარმოადგენს. იმ დროს ამართულა უშველებელი მთები—ყაზიბეგი, ელბრუსი, შასის—მთა და სხვები. მაშინვე მაღალ—მთებში გახსნილა ვულკანები ანუ კრატერები (crater დიდი ჯამი ანუ ქვაბი), საიდამაც დაწყებულა ცეცხლისა და ლავის (გამდნარი ქვები) დენა [5]) უმთავრეს ვულკანებათ მიითვლება კავკასიის ჩრდილოეთით ელბრუსი, ყაზიბეგი, შელთრაქი, სამხრეთით—ყელი ანუ ბუდავა. მცირე—კავკასიაში და საზოგადოთ სომხეთში ვულკანები უზომოთ არის გავრცელებული; იმათ

[1]) Тамъ же N 3, стр. 103; N 4, стр, 699,
[2]). Тамъ же № 4, 700—701.
[3]) Основныя начала геологіи, Ляйеля, т. II, стр. 455, 458 462.
[4]) Русс. Вѣст. 1862, N 4, стр. 702 - 703.
[5]) Русс. Вѣст. 1862 N 4, стр. 705—707.

შორის არიან არარატი, ალაგეზი და სხვები [1]). ახლა ვულკანები დახშულია; მაგრამ ცეცხლის მოძრაობა არ შეწყვეტილა: ამას გვიმტკიცებს ცხელის—წყლის დენა მიწის გულიდამ, რომელიც აქ მრავალია, თვით ცეცხლის დენა ბაქოს ღუბერნიაში და მიწის—ძვრა, რომელიც დროითი—დრო არყევს ჩვენს დედამიწას და რომელმაც სხვათა შორის 1840 წ. არარატის მთის კრატერი გახსნა და მდიდარი სოფელი ახური ჩანთქა და 1859 წ. ქალაქი შამახია თითქმის სულ დაანგრია [2])... რაღა ეჭვი უნდა, რომ ზემოთ-ჩვენებულს ცვლილებას თვით ჩრდილო—ზღვის მდგომარეობის ცვლილებაც უნდა შესდგენიყო. ჯერ კაი-ხანი შეერთებულნი იყვნენ შავი ზღვა, კასპიის ზღვა და არალის ზღვა. გეოლოგიურის ენით ვთქვათ დიდი ხანიც არ არის გასული, რაც ისინი გაერთებულან. ამისი ნიშნები ჩვეულებრივის თვალისთვის ახლაც ცხადია. ასტრახანისა და კავკასიის ვრცელი ვაკეები ზღვის გამშრალს ძირს წარმოადგენენ; აქ ხშირია იმ მოდგმის ლოკოკინები, რომელნიც ახლანდელის კასპიის ზღვის ლოკოკინებში არ გაირჩევიან. კასპიის მხარის მიმოხილვაში ეიხვალდს შეუნიშნავს, რომ იმისი გარეშე—ადგილები ახლაც ცვლილებაშია: ქვესკნელი ძალა კასპიის პირს ზოგან აბურთებს, ზოგან ადაბლებს. ეს არის მიზეზი, რომ ბალხანის ყურე და მთელი აღმოსავლეთის ნაპირი ასტრაბადამდე აწეულა ასე, რომ მდინარე ამურდარია ანუ. ოქსუსი, რომელიც ბალხანის ყურეში ჩადიოდა, ტრუხმენის ველის აწევით აღმოსავლეთისკენ მიმართულა და ახლა არალის ზღვას ერთვის. ბაქოს მახლობლათ ქვიტკირის შენობაები, რომელნიც ოდესმე ზღვის ნაპირათ მდგარან, ახლა ისე ღრმათ არიან ჩაწოლილნი შიგ ზღვაში, რომ იმათი შენიშვნა შეიძლება მხოლოთ მოწმენდილს დარში. ცხადია, რომ ამ მხარეში ზღვას დაუწევია. „არალო—კასპიის ზღვის გაერთება, მურჩისონის აზრით, ორის აბურთების ნაწარმოებია. პირველ აბურთებაზე გაჩენილა ვრცელი ველი, რომელიც კასპიისა და არალის შუა ძევს. კასპიის ზღვა ამ დროს ჯერ კიდევ ასხამდა მთელს ასტრახანის მინდვრებს და კავკასიის დაცემულის მხარის შემწეობით უერთდებოდა შავ—ზღვას. სრული განერთება კასპიისა და შავის ზღვისა და ამ უკანასკნელის გარეშემო მდებარე ველების აღმოჩენა არის ნაწარმოები მეორე აბურთებისა, რომელიც მურჩისონის ფიქრით მომხდარა ისტორიის წინა დროებში და არა დევკალიონის წარღვნის წინ, როგორც ამას პალლასი ამტკიცებდა [3]).

თუმცა უკანასკნელი კავკასიის აბურთება გეოლოგიის ენაზე ახალი ცვლილება არის, მაგრამ ისტორიას მაინც არ შეუძლიან ის ჟამა აღრიცხოს; არ შეუძლიან სთქვას, იმის შემდეგ რამოდენა ხანს გაუვლია. იქნება ოდესმე ესეც შევიტყოთ: მეცნიერებას საზღვარი არა აქვს. ჯერ ვერას ვიტყვით. ეს კი შეგვიძლიან თითქვის დარწმუნებით ვთქვათ, რომ ვიდრე ცეცხლის—მთები ანუ ვულკანები თავისს მოქმედებას შესწყვეტდნენ, კაცობრიობა გაჩენილი ყოფილა. რადგანაც იმ დროს საშუალო—აზიიდამ ურალის მინდვრები და კასპიის სამხრეთი წყლისაგან განთავისუფლებული ყოფილა, იქნება იმ დროს განმავლობაში დაწყობილა ის გადმოსახლება ტომთა, რომელიც ჩვენ წინა სტატიებში ვრცლათ მოვიხსენეთ. თუ ამ აზრს დავემყარენით, მაშინ, რასაკვირველია, თვით იმ ცვლილებას, რომელიც დედა—მიწის პირზე მომხდარა, ადამიანის მეხსიერებაში თავისი კვალი უნდა დაეტევებინა. მართლაც და არც

[1]) Тамъ же N 3, стр. 101—103. Записки Кавк. отд. Геогр. общ. N 11, стр. 109, 110.
[2]) Тамъ же, стр. 110—118.
[3]) Тамъ же N 2, стр. 459; N 4, стр. 707 - 709.

ერთი ძველი შემთხვევა არ არის ისე გავრცელებული სხვა და სხვა მოდგმის ტომებში, როგორც თქმულება წარღვნაზე. ეს სიტყვა, როგორც უკეთესს ებრაულის ენის მცოდნე პირებს ესმით, ჰნიშნავს ქვეყნის აღშფოთებას, აღრევას წყლით და ცეცხლით [1]). ეს ასეც არის: როდესაც ქვესკნელით ცეცხლის—მოძრაობა არყევს მიწის კანს, მაშინ წყალიც ირყევა, აქა-იქ ხმელეთს მოეფინება. ახლა ესეც უეჭველია, რომ მიწის ძვრას მოაქვს თან ჰაერის ცვლილება, წვიმის დენა; რამდენათაც ცეცხლი მიწის გულიდამ ძრიელ და ხანგრძლივ მოქმედებს, იმოდენათ ძრიელ და ხანგრძლივ წვიმს... წარღვნაზე თქმულება გადმოგვცეს ებრაელებმა, ქალდეველებმა, არაბებმა, ბერძნებმა, კელტებმა, ინდოელებმა, ჩინელებმა. ზოგნი იმათგანნი წარღვნას უჩვენებენ მთელს ხმელეთის პირზე, ზოგნი — ადგილ-ადგილ. სულ-ძველათ ზეპირ - სიტყვაობა წარღვნას კერძოობითს თვითსებათ იხსენიებს, შემდეგ საზოგადოთ ავრცელებს. ბერძნების წარმოდგენით წარღვნა იყო ადგილობრივი შემთხვევა [2]). ქსენოფონტი ჩამოგვითვლის ხუთ-გვარ წარღვნას. იმის აზრით პირველი მომხდარა ნეპტუნის შვილის ოგიგეზის დროს, რომელიც ათინაში პირველ მეფეთ ირიცხება. მიზეზი ამ წარღვნისა ყოფილა კოპაის ტბის ადიდება; მეორე ყოფილა ჰერკულესის დროს; იმას უმუშავნია ერთი თვე; მესამე წარღვნას მეორე ოგიგეზის მეფობაში აუოხრებია ატტიკა; მეოთხე მომხდარა ორის საუკუნის შემდეგ დევკალიონის დროს და სამის თვის განმავალობაში მოსდებია მთელს თესალიას; მეხუთეს ქსენოფონტი უჩვენებს ტროადის ბრძოლის ეპოქაში; იმას დაუნთქავს ნაწილი სიცილიისა [3]). შესანიშნავი ეს არის, რომ სხვა და სხვა უცხო ტომების გარდამოცემაში წარღვნაზე თითქმის განსხვავება არა არისრა. ებრაელების ნაამბობი ჩვენ კარგათ ვიცით. ამ გვარივეა სხვების ნაამბობი: ზნეობის გარყვნა ხალხში, ერთი-ერთმანეთში არევა, ღმერთების წინააღმდეგი მოქმედება, ამის გამო ღმერთების განრისხება, სასჯელის მოვლენა ცეცხლით და წყლით, ადამიანის ნათესავის დანთქმა, ერთის ოჯახის გადარჩენა უმაღლესს მთაზე ნავით თუ კიდობნით და სხ. [4]). ისეთი ნამდვილი სურათი წარღვნისა არავის არ გადმოუცია, როგორიც გადმოგვცა ჰეზიოდმა. ჰეზიოდი იყო ელლადის წარჩინებული პოეტი, რომელიც ჰეროდოტის სიტყვით სცხოვრებდა მეცხრე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ. ჰეზიოდის აზრით წარღვნა შეუდგა ტიტანების ბრძოლას უმთავრესს ღმერთთან—იუპიტერთან. ტიტანები იყვნენ შთამომავალნი ატლანტების მეფისა ურანოსისა და ტიტესი ანუ მიწისა. იმათი მოდგმა იყო ადამიანის მოდგმაზე მაღალი, ღმერთების მოდგმაზე დაბალი. ზოგიერთნი ტომნი, იმათ შორის ქართველები, ტიტანებს უწოდებენ გმირებათ, ზოგნი დევებათ (devs; devils; აქედამ წარმოსდგა diable ეშმაკი) ანუ ჯანნებათ; ყორანი მოიხსენებს ადითებათ. ბერძნები იტყვიან, ვითომც ტიტანებისაგან მიეღოთ იმათ პირველად სწავლა-ხელოვნება, წინასწარმეტყველება, მსხვერპლის შეწირვა, სარწმუნოების წესი. ტიტანები ისეთის ძალით იყვნენ მოსილნი, რომ იმათ შეეძლოთ წვიმისა და სეტყვის მოვლინება. ტიტანებივე ყოფილან ერთთვალიანი ციკლოპები, რომელთაც ადგილსადგომს უჩვენებენ სიცილიაში და რომელთაც უშველებელის ლოდის შენობები დაუტევებიათ აქა-იქ. ტიტანებს აუტეხიათ ბრძოლა იუპიტერთან, რომელსაც იმათ დასასჯელათ აუწყვეტია უფსკრული და ცის-სამყარო, ცეცხლი და წვიმა. ჰეზიოდის სიტყვით: „ზღვებმა იწყეს საზარელი გრგვინვა, ხმელეთმა შიო-სცა ხმა გოდებისა; ცა ირყეოდა, ღმერთების ვრცელი სადგომი ოლიმპი იძროდა იმათ ფეხ-ქვეშ; დიდროვანის ლოდების სროლამ აათრთოლა მთელი ტარტარი; ქვეყნის ელემენტები აშფოთდნენ, ქარიშხალი და ჭექაქუხილი ასტყდნენ; შავმა ნისლმა და ცეცხლის მოქმედებამ დახშეს მზე, შესძრეს მთვარე, დაამხვეს მთები და ზღვები... თვით ტიტანები ღმერთებმა ჩასთხარეს დედა-მიწის ჯურღმულში, სადაც საუკუნოთ შემჭულნი არიან უფსკრულს წყვდიადში". ვინც იცის, რა არეულობა მოაქვს ბუნებაში ცეცხლის მოძრაობას ქვესკნელით, ის ადვილათ მიჰხვდება რასაც წარმოადგენს ჰეზიოდის სურათი [1])....
ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგი-ერთი ძველი თქმულება აქ მოხსენებულს შემთხვევას უჩვენებს Palus-Meotide-ის (ახლანდელი აზოვის ზღვა) გარეშემო. ფრანცუზის მწერალი მორო-დე-ჟონნესი, რომლისაც Ethnogénie Caucasienne აქ ხელთ-მძღვანელათ გვაქვს, ყოველსავე, რაც ძველათ წარღვნაზე უთქვამთ, კავკასიის მხარეში ეძებს. იმის ფიქრით ბუნების აღშფოთება წარღვნის წინ კავკასიის ვულკანების მოქმედებას მოასწავებს; თვით ნოეს კიდობანი შავ-ზღვაში თურმე ცურავდა, ვიდრე არარატის მთისკენ გაემგზავრებოდა. მორო ამტკიცებს, ვითომც წარღვნის წინ და შემდეგ კავკასიის გარეშემო დაწესებულა ადამიანის საზოგადოება; აქ დამყარებულა თავდა პირველათ განათლება, სარწმუნოების დოღმატები. აქედამ გაბნეულა კაცობრიობა სხვა და სხვა ქვეყნის მხარეებში—ინდოეთში, ჩინეთში და სხვაგან; აქედამ გავრცელებულა როგორათაც თქმულება წარღვნაზე, აგრეთვე პირველ-დასაწყისი წარმატება ყოფა-ცხოვრებისა და სწავლა-ხელოვნებისა; აქედამ არის გატანილი სხვა და სხვა სახელ-წოდება მთებისა, მდინარეებისა, ტომებისა და სხ. [2]). მოროს აზრი იქნება ზოგიერთში მართალი იყოს, მაგრამ საზოგადოთ უსაფუძვლო აზრია, რადგანაც ის ეწინააღმდეგება როგორათაც გეოლოგიურს ფაქტებს, აგრეთვე ენების საძირკველზე აშენებულს მეცნიერებას და მსოფლიო ისტორიისაგან გამოკვლეულს ფაქტებს.

(შემდეგი იქნება).

[1]) Moreau de Jonnès, Ethnogénie Caucasienne, p. 309.
[2]) Ibid 285, 298, 299, 319, 327.
[3]) Ibid. 300.
[4]) Ibid. 299, 303—331.

---

## სიტყუა
## საყოველთაოდ საუწყებელი, წიგნთა ქართულთა ბეჭდვსაგამო.

მეცნიერი ევროპისა; ჰყუჱდრიან ძველთა და მამაპაპათა თჳსთა დაუდევნელობასა წიგნთაგამო, რომელნიცა ანუ არა სწერეს, ანუ არა დაიცჳს დაწერილნი მომავალთა დროთა-თჳს. ქართჳლთა მწერლობა ძჳლი, წინათ ქრისტესა წყობილი და ქრისტიანობისა შემდგომად განვრცელებული, არა-არის დასაკარგარი. ენა ქართჳლთა, ეკკლესიისათჳს ქრისტესსა შემზადებული უმეტეს და უკეთესად რომაელთა, ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცჳსა. ენამან ამან დაბადა ენა რუსთველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა და ქართჳლთა წმინდათა მამათა ცხოვრებისა აღმწერელთა. ვითარცა მცოდნე, ვიტყვი გაბედვით, ლათინთა ენისა, ბერძნულისა და რუსულისა, ვითარცა მთავართა ენათა, ორთა დიდთა ეკკლესიათა-თჳს შემზადებულთა, რომელ ენა ქართჳლთა მრავლით უმცირესი ბერძნულისა, არის მრავლით უმაღლესი ორთა სხჳათა, მხოლოდ ეკკლესიურისა მწერლობისა-გამო. სხჳანი, საერონი მწერლობისა წიგნნი, იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერითა და ტკბილითა კალმითა; და რომელთაცა მოაწიეს დროთა ჩჳენ-

[1]) Ibid. 313—317.
[2]) Ethnog. Cauc. 292—293, 301—340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადში, აღმოჩდენ ესენი ადგილ-ადგილ შეცუღილად მათგან, რომელნიცა გარდაჰსწერდნენ მათ.

ქართუელთა ქუეყანისა მოოხრებამან მტერთაგან სარწმუნოებისა მათისა და მეფობისა, დაგვკარგა მრავალი წიგნი. დღესცა ვეძებთ და ვერლა ვჰპოვებთ წიგნთა მათ, რომელთაცა მოიხსენებენ არსენი, კათოლიკოსი ანტონი, ბესარიონი, ვახტანგ, ვახუშტი და სხუანი. ვეძიებ და ვერლა ვჰპოვებ მათ, რომელნიცა წარმიკითხავს ბოდბელთან, რუსთუელთან და სხუებთან.

მოადგილე ხელმწიფე-იმპერატორისა აქა ქუეყანასა ჩუენსა, მ. ს. ვორონცოვი, ვითარცა მეცენატე ქართუელთა ენისა და მწიგნობრობისა და უმეტეს ვრცლად მხედუელი კაცთა ნათესავისა მნიშუნელობისა, ზრუნვიდა, რათა არა-დაკარგულიყუნენ წიგნნი და მწერლობა მის მცირედისა ქართუელთა ერისა, რომელიცა იყო ძუელად მეფობითისა პატივისა მქონე და ქრისტიანობისა გამო ზღუდე მტკიცე პირის-პირ მაჰმადიანობისა, აზიისა ჩამყლაპავისა და წამმუსრელისა.

ამან, აზიისა და ევროპიისა შორის მხედუელმან კაცმან, დასაცუელად ქართუელთა სახელისა და პატივად ენისა მათისა ძუელისა, ინება და ბრძანა დაბეჭდვა ქართველთა წიგნთა,—არა დაეკარგოს კაცთა ნათესავსა საუნჯე გონებისა უნჯად ისტორიისა და მოსახმარად მეცნიერთა ევროპისა, რომელნიცა დიდისა მეცადინებითა ეძიებენ და ჰპოვებენ ესე ვითართა ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, არაბთა-შორის, აბისინიაში და სხუათა ადგილთა.

ესრეთ სურვილისა თვისისა აღსრულებისა, წყურვლით, ნამდვლ წყურვლით,—თქმასა ამას ჩემსა ადვილათ გაიგებენ მეგობრნი მისნი, მასთან დაახლოებულნი,—მოწადინემან აღმირჩია მე. განმხნევებულმან მისგან, მისივე ხარჯითა და ბრძანებითა დავბეჭდე 5 წიგნი:

1. დ ი დ-მ ო უ რ ა ვ ი ა ნ ი, დაწერილი ლექსად იოსებ თფილელ მიტროპოლიტისაგან.

2. მ ი მ ო ს უ ლ ა პ ა ლ ე ს ტ ი ნ ე დ და წ მ ი ნ დ ა თ ა ა დ გ ი ლ თ ა ტიმოთე მთავარეპისკოპოსისა.

3. მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა და მ ო ხ ი ლ უ ა წ მ ი ნ დ ა თ ა ა დ გ ი ლ თ ა და ე ვ რ ო პ ი ს ა იონა მროველ-მიტროპოლიტისა.

4. ც ხ ო ვ რ ე ბ ა თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ უ ე ლ ი ს ა, არჩილისაგან მეფისა ლექსად შედგენილი.

5. წ ყ ო ბ ი ლ-ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა, კათოლიკოზისა ანტონი პირუელისაგან.

ბრძოლისა ხმამან 1853 წლისა, საუბედუროდ ქართუელთა მწერლობისა, შეაყენა მშვიდობითი და მხიარულებითი მუშაკობა ჩემი. მშრომელი, მივიწყებული, ვითარცა მფრინუელი ფრთა-მოკუეთილი, მივჩუმდი: შედგა ბეჭდუა ქართულთა წიგნთა.

დღესა მათმან ბრწყინვალებამან კნიაზმან გ. დ. ორბელიანმან და სხუათა ქართულისა ენისა მცოდნეთა ინებეს და მომანდუეს ბეჭდვა ქართულთა წიგნთა. დაბეჭდვსათვს წიგნთა არის საჭირო ფული 500 მანეთი. ამაზომადმდე შედგენილი ფული ეკმაება ერთისა წიგნისა დაბეჭდუასა, რომელსაცა ექნება 320 გვერდი, ანუ მეტ-ნაკლები. წიგნი გაიყიდება და შეგროვდება ივივე წარგებული ფული და დაიბეჭდება მეორე.

მსურუელნი წიგნთა ბეჭდვისა და ფულისა მომცემნი პირნი ამისა ქუემორე დაინიშნებიან მათისავე ყუელა მოწერითა.

ნუ მივჰსცემთ დავიწყებასა მამა-პაპისა ჩუენისა კალმისა შრომათა. ნუ განვაქრობთ მათსა, გონებისა ლექსთა წყობითა და პროზად, მწერლობისა გმირობასა. ნუ დავუკარგავთ კაცთა ნათესავსა, ძუელთა და წარსულთა დროთა მწერლობისავე ლუაწლთა. ხოსროიდელთა, არაბთა, თურანელთა, ჩინგისისა თემურლანგისა და შაჰაბაზისა ხმალთა ლესულთა, გადურჩათ ძუელნი თხზულებანი და თქმანი მწერლობითა; და აოხრებისა დროსა დაიცუეს მრავალნი მათგანნი ჩუენთვს და დროთა ჩუენთათვს. ნუუძე ჩუენ, დღეს რუსეთისა მკლავითა დაცულნი და მტერ-მორეულნი და დაახლოებულნი ევროპისა, დავჰშთებით უზრუნუელად და ვერ დავიცავთ მათ წერილთა, რომელნიცა დაიცუეს წინაპართა ჩუენთა? ნუუმე, დღეს ძლიერნი ჰსწავლითა, მშვდობითა, თავის-უფლებითა, ვეჩუენებით ნათესავსა მომავალსა სუსტატ, გულგრილად, დაუდევნელად? განვმხნევდეთ და განვძლიერდეთ იმედითა და სასოებითა; შევდგეთ შრომასა არა მხოლოდ პატივისათვს ერთი ენისა; ითხოვს ამას ჩუენგან მეცნიერთ გუნდ-გუნდად წყობა ყოვლადისა ევროპისა და თვთ რუსეთისა, ღუთისაგან მოვლენილისა პატრონისა, მფარუელისა და მოღუაწისა, რათა ვიყუნეთ მდიდარნი და სავსენი სულითა, გონებისა და გონიერებისა მქონად; დამცუელნი წარსულთა დროთა საუნჯისა, განსავრცელებად ახალისა, ჰსწავლითისი და ხელოვნებითისა, ცხოვრებისა-თვს საუნჯისავე.—

პლატონ იოსელიანი.

20 თებ. 1869.

---

## ერთგულს მეგობარზედ.

(მიხაილოვიდგან)

მაღლად-ამართულს ფიცრებზე იდგა
ორი გლეხი კაცი,
მათი მუშაობა იყო ფრიად სწრაფი და საოცი,
ძირს პარიჟსა უდარდელსა ჟღავი-ჟღურილი
გაჰქონდა,—
ღმუილით ჩრდილოეთისა ქარი მასა ედებოდა.
გლეხნი ესე საბრალონი სილარიბესა
შეებრყნენ—
რასაც ჰპოებდნენ უძველესს, ტანსა მითი
იმოსვიდნენ,
შიმშილით შეძრწუნებულთა ჰქონდათ მათ
სახე შემლილი..,
მიკვირს ამ გვარად რათ უნდა სცხოვრებდეს აღმშენებელი...
გეჯითის მუშაობითა სახლი მარდათ შენდებოდა.,.
მხოლოდ ქარმა მოუშხირა და საწყლებს
არ ასვენებდა:
ღმუის, ყვირის, ყველასა ჰგლეჯს, ალარაფერს ერიდება,
გაცოფებული ამაყად ამ ფიცრებსა მივარდება.
ვიცით რაზმ ძალა აღმართს ხნავს; ფიცრებმა ქარს ვერ შეუძლეს—
მოიდრიკნენ, ჭახა ილეს და ჰაერსა თავი
მისცეს...
წვრიმალი დარჩა ლატანი გლეხებთა სანუგეშოთა,
მაგრად მას ხელნი მოხვიენეს ეგრეთა, ვითარ მშობელთა.
ქარი თავისას არ იშლის! თან და თან,
ბოროტდება!
უწყალოდა სდრეკს ამ ლატანს და დამსხვრევას ეპირება,
ოჰ, საბრალნო! ერთი წამიც და მოვა აღსასრულია,
თქუენს ქვეშ უწყალო სიკვდილსა თრთოლვით პირი დაუღია!..
და სთქვა ერთმა:—ძმაო ჩემო, ვერ მოგვასწრებენ შველასა,
ლატანი ფრიად სუსტია—არ დაგვიმაგრებს ბევრს ხანსა,
ნეტავი მაინც შეიძლოს ერთ ერთის გადარჩენა,—
აჰ! გვიშველეთ! მგონი ტყდება! რათ შემოგვწყერ, ღმერთო, ჩვენა?
მეორემ ოხვრით წარმოსთქვა:—მე საბრალოს ცოლშვილი მყავს!...
პირუელის პასუხი იყო:—რაო, ძმაო, ცოლშვილი გყავს?
მაშ მშვიდობით! მე ერთი ვარ, აქ რაღა ფიქრები უნდა,
მშვიდობითა, მეგობარო! შემწედ გყავნდეს ყოვლად წმიდა!
სთქვა ესე რა, მასვე წამსვე მსხვერპლად მისცა თავი თვსი...
შუბლი განეპო მრავლადა, ტალახს ერთვა ტვინი მისი!
არვინ იჯავრა კაცთაგან ვინ არისა ესა მკვდარი,
თუმცა ეს იყო იშვითი და ერთგული მეგობარი!

ზ. ხითაროვი.

ქ. გორი.

---

## მხედარი

(მიბაძვა პუშკინისა.)

ერთხელ რიონის პირზედ
ღამე ღრუბლიანს ბნელსა,
ჭაბუკი მამაცურად
მიაქროლებდა ცხენსა.

—

იყო ყაბალახითა,
ნაბად გვერდს მოგდებული;
ხანჯლითა, ლეკურითა
მხედარი მოკმაზული

—

მყის ცხენი გააწყნარა,
აღარა ჰკრა დეზები;
რა ცოტა გაიარა,
გამოუჩნდა სოფლები.

—

ფიქრობს, აწ გვიანაა—
ვერ ვნახავ ლამაზასა,—
ცხენს განზე გაუქნია,
და გაჰყვა სოფლის გზასა...

—

სოფლად ხმა არა ისმის,
ღრუბლებში ბჟუტავს მთვარე;
და ფანჯარასთან ზის
ნაზად ქალი მდუმარე.

—

ქალსა ხედავს ყაჩაღი,
გული უცემს, იწვება;
და მისი ცხენი ლაღი
ფანჯარას მიადგება.

—

„გზაზედ დამაგვიანდა...
შორიდგან მომავალი,
მე ცხენი მომიღალდა
გთხოვ, ტურფავ, ასვა წყალი."

—

— არ არგებს—ნარბენია,
— ეხლა შვალამე არი..
— ვაჟისა მეშინია,
— ვერ ვასმევ—მითქვამს ვარი.

—

„ლამაზო! რაი დამწამე,
ჩემი ნუგეშინია..
— აჰ! ქალისათვის ღამე
ძრიელ საშიშარია.

„ტყვილად ნუ შეშინდები,
დასჯერდი ჩემს სიტყვასა:
„გაფანტე მაგ ჰაზრები,
„გამო, ნუ ჰკარგავ დროსა"!...

—

„შემოჯექ, ნუ ჩერდები;
„შორს მივალ ქვეყანაში,
„საუკუნოდ იქნები
„ჩემთან ნეტარებაში!"

—

დაეთანხმა, შეშინდა
—სუსტია დედა-კაცი
ცხენს გაქუსლა, გაფრინდა,
ბედნიერი მამაცი!

—

ორი კვირა ტრფიალით
მან ქალთან გაატარა,
მესამეს, ჩვეულებრივ,
დააგდო, გაეპარა!

1866 წ.

---

*
* *

მეც ვიყავი ნორჩი და სავსე გრძნობით
ვიზდებოდი კეთილ მიმართულებით;
მეცა ვგრძნობდი საქმეს, საჭიროებას
და მსუბუქად მივყვებოდი დროებას...
საკუთრებით მქონდა ერთი სურვილი
სამსახური... მამულის სიყვარული,
არ ვიცოდი, თუ რა იყო ჯავრები,
თვე დღეთ მიჩნდა და თვედ—წელიწადები!

—

მოვიზარდე... გავიცან სოფლის ჭირი,
დაბრკოლება შემხვდა საქმეში ხშირი;
მაშინ ვიგრძნე, რომ ჩემი სასოება,
სიყვარული გრძნობა და აღტაცება
მეხსიერად მწუხარებამ შესცვალა.
სოფლის ტალღამ, ამაობამ დამღალა;
და თან და თან გამიხშირდა ფიქრები,
დღე თვედ მიჩანს, წელიწადათ—თვეები...

1868 წ.

ლიხაურელი.

---


# განცხადება.

რაჟდენ გედიანიძეს

აქვს პატივი რათა აცნობოს პუბლიკას და თავის მუშტრებს, რომ იმან გახსნა ახალათ ბერძნული მაღაზია ბულვარზე, შიოევის სახლში, მე-13 ნომერში, რომელშიაც გაჰყიდის ძალიან იაფათ კოლონიურ საქონელსა, ქიახტის ჩაისა, უცხო ქვეყნების სასმელებსა, ყველა სორტის შამფანცკსა, რომსა, ლიკორსა და სპირტის სასმელებსა; აგრეთვე კახურ ღვინოსა. აქვე იშოვება ყველა გვარი ზაკუსკა.

# განცხადება

სოფიო ალექსანდრეს ასული დანიელოვისა, მცოდნე კარგათ ენებისა: რუსულისა, ფრანციულისა, ნემეცურისა და რომელსაც აქვს ჯეროვანი დიპლომი პეტერბურგის უნივერსიტეტისაგან უცხადებს ამით პატივ-ცემულს პუბლიკასა რომ იმან გახსნა შკოლა ორთავე სქესის ყმაწვილებისათვის, რომელშიაც ენებს გარდა ასწავლის სხვა ყოველ გვარ სამეცნიერო საგნებსა. ამ შკოლაში მოდიან დილის ცხრა საათიდგან ყმაწვილები, სწავლობენ პირველ საათამდე და მერე მიდიან შინ. პირობა მიღებისა არის ფრიად გაადვილებული შესახებ საშუალებისა. თვეში ყველა საგნების სასწავლებლათ ერთმევათ ხუთი მანეთი. ოთხიოდეს იქვე შეიძლება მიეცეთ სადგომი ადგილები.

შკოლა იმყოფება სოლოლაკში, იაგორ ცოვიანოვის სახლში.

# საბიბლიოგრაფიო ცნობა.

# ბუნების კარი,

საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, სტამბიდგან გამოვიდა; წიგნს შეადგენენ სხვა და სხვა სტატიები: ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფიზიკური და გეოგრაფიული. საზოგადო გეოგრაფიის ცნობების შემდეგ დაბეჭდილა საქართველოს გეოგრაფია. წიგნი თავდება ლექსებითა და მასთან დამატებულია ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა რ ტ ა, რომლის მაშტაბი 40 ვერსია ერთ დიუმზედ. სივრცით წიგნი ცამეტ ბეჭდის თაბახს იპყრობს თაბახის 12/0 ტანისასა. „ბუნების კარი" ისყიდება ამ ხანობით მხოლოდ სასულიერო სემინარიაში, ი. გოგებაშვილისასა და უ. ვართანოვის საწიგნო მაღაზიაში.—ფასი ყველგან 65 კაპეიკა.